

შიდა ქართლი



I. ზოგადი მიმოხილვა

1. ტერიტორიის ფართობი

შიდა ქართლის ტერიტორიის ფართობი - 6200 კვ.კმ-ია. (მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშაა 4807 კვ.კმ). რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 9.2%-ს შეადგენს.



რეგიონს ესაზღვრება მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, ქვემო-ქართლი და სამცხე-ჯავახეთი.

2. თვითმმართველი ერთეულები

რეგიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია: **გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ერედვის, ქუთის, თიღვის** მუნიციპალიტეტები. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა, მერია) ორგანოების მიერ.

რეგიონში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული, ხოლო ადმინისტრაციული ცენტრია - ქ. გორი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის არის - 75 კმ

II. ბუნებრივი რესურსები და გარემო

1. მინერალურ-რეკრეაციული რესურსი

რეგიონში მოიპოვება: რკინა, სპილენძი, ოქრო, ტყვია, თუთია, საფლუსე კირქვა, დოლომიტი, მოსაპირკეთებელი ქვები, მაგმური ქანები, ბეტონის მსუბუქი შემავსებლები,

სამშენებლო ქვიშა - ხრეში, საკირე კირქვები, სააგურე თიხები და სხვ.

2. წყლის რესურსი

მხარის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: მტკვარი, დიდი და პატარა ლიახვი, მეჯუდა, ტანა, ქსანი, ტორტლა, თეძამი, ჭარებულა, ლეხურა, სურამულა, ფრონე, ძამა და სხვა.

შიდა ქართლი მდიდარია ბუნებრივი სამკურნალო წყლებით, სუფთა წყაროს წყლებით, მიწისქვეშა სასმელი მტკნარი წყლებით, სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით.

3. სატყეო რესურსი

გორის საცდელ - საჩვენებელი სატყეო მეურნეობა, რომლის მთლიანი ფართობი არის - 44900 ჰა; აქედან ტყით დაფარულია - 35311 ჰა; მათ შორის წიწვოვანი - 16000 ჰა და ფოთლოვანი - 19311 ჰა.

კასპის სატყეო მეურნეობის მთლიანი ფართობი არის - 29988 ჰა; ტყით დაფარულია - 35311 ჰა; მათ შორის წიწვოვანი - 3170 ჰა და ფოთლოვანი - 23250 ჰა.

ხაშური - ქარელის სატყეო მეურნეობის ქარელის ზონა, რომლის მთლიანი ფართობი არის - 24504 ჰა; ტყით დაფარულია - 22448 ჰა; მათ შორის წიწვოვანი - 6221 ჰა და ფოთლოვანი - 16227 ჰა. და ხაშური-ქარელის სატყეო მეურნეობის ხაშურის ზონა: მთლიანი ფართობი არის - 27863 ჰა; ტყით დაფარულია - 26396 ჰა; მათ შორის წიწვოვანი - 6000 ჰა და ფოთლოვანი - 20396 ჰა.

სულ გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის რაიონებში ტყით დაფარულია 110575 ჰა; მათ შორის წიწვოვანი - 31391 ჰა და ფოთლოვანი - 79184 ჰა.

ცხინვალის სატყეო მეურნეობის მთლიანი ფართობი შეადგენს 36864 ჰა-ს; ცხინვალის სახელმწიფო ნაკრძალი მთლიანი ფართობი არის - 6388 ჰა; ტყით დაფარულია 5386 ჰა.

(2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე)

1. მოსახლეობა

2009 წლის წინასწარი მონაცემებით რეგიონის მოსახლეობა 313 ათას ადამიანს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 7.1 %-ია. 2008 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა 0.06%-ით გაიზარდა.

თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობა (2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით) ყველაზე ბევრი გორის მუნიციპალიტეტზე მოდის – 135.8 ათასი კაცი, რაც შიდა ქართლის მთლიანი მოსახლეობის 43 %-ია.

შიდა ქართლში 2008 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა იყო 4296 კაცი, ხოლო გარდაცვალებულთა რაოდენობამ 3442 კაცი შეადგინა.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შიდა ქართლში შემდეგი სახისაა:

- ქართველი – 287,7 ათ. კაცი, (რაც შიდა ქართლში მთლიანი მოსახლეობის 91,6 %-ია)
- აზერბაიჯანელი – 5,8 ათ.კაცი (1.8 %)
- ოსი – 13,4ათ. კაცი; (4.26%)
- სომეხი – 3,5 ათ. კაცი; (1.1 %)
- რუსი – 1,9 ათ. კაცი;
- ებრაელი – 0,7 ათ.კაცი;
- უკრაინელი – 0,2 ათ. კაცი;
- ბერძენი – 0,2 ათ. კაცი
- აფხაზი – 0,1 ათ კაცი.

2. განათლება

მხარეში ფუნქციონირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შიდა ქართლის საგარეო უნივერსიტეტი.
- გორის მრავალპროფილიანი მცირე აკადემია.

შიდა ქართლში სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულე-

ბებში 2008/2009 წლებში იყო – 2209 კაცი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 12 %-ით მეტია, ხოლო მთლიანად საქართველოში სტუდენტთა რაოდენობის 2.3 %-ია.

3. სოციალური უზრუნველყოფა

პენსიონერების რიცხოვნობა შიდა ქართლში 2008 წელს იყო 62464 კაცი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1.38 %-ით მეტია, ხოლო მთლიანად საქართველოში პენსიონერთა რაოდენობის 9.55 %-ია.

შიდა ქართლში პენსიონსიონერთა განაწილება სქესის მიხედვით ასე გამოიყურება: 2008 წელს პენსიონერი ქალი იყო - 39209, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1.77 %-ით მეტია. ხოლო მთლიანად საქართველოში პენსიონერ ქალთა რაოდენობის 7%-ია.

2008 წელს პენსიონერ კაცთა რაოდენობა იყო – 23255, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 0.7 %-ით მეტია, ხოლო მთლიანად საქართველოში პენსიონერ კაცთა რაოდენობის 8 %-ია.

4. ჯანდაცვა

შიდა ქართლის მოსახლეობას მომსახურებას უწევს საავადმყოფო-პოლიკლინიკური, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები, პოლიკლინიკურ- ამბოლატორიული გაერთიანებები, სამედიცინო - სასწრაფო დახმარება 03 და ასევე კერძო სამედიცინო დაწესებულებები, ჰოსპიტალი.

5. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები

რეგიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. კულტურული ღირსშესანიშნაობებიდან გამოიყოფა: (თეატრი, მუზეუმი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა). ესენია: წრომის ტაძარი, ატენის სიონი (VII ს), გორის ციხე, ბუღბუღის ციხე, სამთავისის ტაძარი (XI ს), ბსტალინის სახლ-მუზეუმი, უფლისციხის უნიკალური ქალაქ - მუზეუმი,

გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი უნიკალური ფრესკებით (XII–XIII სს), სამწვერისის ციხე-დარბაზის კომპლექსი, ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი, რუისის ღვთისმშობლის ხუროთმოძღვრული კომპლექსი.

IV. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

1. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

გორისა და ხაშურის ტერიტორიაზე მოქმედებს საერთაშორისო საქალაქო-სატელეფონო ციფრული ქსელი. ტერიტორია სრულად არის დაფარული მობილური სატელეფონო კავშირით, გორისა და ხაშურის მცხოვრებლებს კი საშუალება აქვთ ისარგებლონ ინტერნეტის თანამედროვე მომსახურებით.

2. საგზაო ინფრასტრუქტურა

შიდა ქართლი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია. რეგიონის მთლიან ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალი და ასევე სარკინიგზო ცენტრალური მაგისტრალი. ესენია: იმერეთის რეგიონთან დამაკავშირებელი რიკოთის გვირაბი, ხაშური-ახალციხე-ვალეს საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალი.


2004-2008 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ჯამში 171 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთზე. 2009 წელს სამუშაოები მიმდინარეობს 81 კმ-ის გზის მონაკვეთზე.

V. ადგილობრივი ეკონომიკა

1. რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები

რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა შიდა ქართლში 2009 წლის I კვარტალში დაფიქსირდა – 13285 კაცი, რაც საქართველოში სულ რეგისტრირებულ ადამიანთა რაოდენობის 5 %-ია.

2008 წელს რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა იყო 12470 კაცი, რაც მთლიანად საქართველოში რეგისტრირებულთა რაოდენობის კვლავ 5 %-ია.



2. დასაქმება

2008 წელი	ათასი კაცი	
	შიდა ქართლი	საქართველო
	რაოდენობა	წილი
სულ აქტიური მოსახლეობა	117.6	6
მომუშავე	98.4	6
დაქირავებული	26.3	5
თვითდასაქმებული	72	7
გაურკვეველი უმუშევარი	0.1	9
უმუშევრობის დონე (%)	16.3	99
აქტიურობის დონე (%)	59.5	95
დასაქმების დონე (%)	49.8	95

დასაქმებულთა რაოდენობა შიდა ქართლში 2009 წლის II კვარტალში იყო – 9663 კაცი, რაც საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის 3.1 %-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მონაცემებზე 14 %-ით ნაკლებია.


დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება შიდა ქართლში 2009 წლის I კვარტალში იყო 258 მლნ.ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.4 %-ით აღემატება. შიდა ქართლში 2009 წლის

კვარტალში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საქართველოში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების 50 %-ია.

3. ეკონომიკა

შიდა ქართლში და მცხეთა-მთიანეთში შექმნილმა მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 1237.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 40.7 %-ით მეტია, ხოლო საქართველოს მასშტაბით შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 7.5 %-ია.

რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი სახელმწიფო მმართველობის სექტორს უკავია – 330.0 მლნ.ლარი, რაც მთლიანი მოცულობის 26%-ია, შემდეგ მოდის სოფლის მეურნეობა – 13 %, ვაჭრობას – 13 %, მრეწველობას – 12%, და ა.შ.



აღსანიშნავია, რომ 2008 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ზრდა სახელმწიფო მმართველობის სექტორში – 105 % დაფიქსირდა, მრეწველობაში - 30 %, ხოლო სოფლის მეურნეობაში 9.7 %.

რეგიონში 2004-2008 წლებში ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროში გაიზარდა პროდუქციის გამომშვების და ბრუნვის მოცულობა. ცხრილში წარმოდგენილია 2008 წლის მონაცემები.

2008 წელი		შიდა ქართლი		საქართველო
		რაოდენობა	%	რაოდენობა
მრეწველობა	დასაქმება (კაცი)	4 624	5,4%	85 711
	ბრუნვა (მლნ. ლ)	367,0	7,9%	4 637,6
	გამომშვება (მლნ.ლ)	313,4	8,2%	3 821,8
სამეწარმეო სფერო	დასაქმება (კაცი)	12 401	3,6%	349 250
	ბრუნვა (მლნ. ლ)	543,4	2,8%	19 650,7
	გამომშვება (მლნ.ლ)	402,8	3,9%	10 248,4
ტრანსპორტი და კავშირგაბმ.	დასაქმება (კაცი)	293	0,6%	50 560
	ბრუნვა (მლნ. ლ)	2,8	0,1%	3 004,7
	გამომშვება (მლნ.ლ)	2,1	0,1%	2 043,6
მომსახურება	დასაქმება (კაცი)	1 647	4,3%	38 109
	ბრუნვა (მლნ.ლ)	57,7	4,1%	1 412,0
	გამომშვება (მლნ.ლ)	57,7	4,0%	1 434,7
ვაჭრობა	დასაქმება (კაცი)	1 259	2,3%	55 278
	ბრუნვა (მლნ.ლ)	94,5	1,0%	9 238,0
	გამომშვება (მლნ.ლ)	5,9	0,4%	1 464,7

4. სოფლის მეურნეობა

შიდა ქართლში ვხვდებით შავმიწა, ლამიან, ყორმალ და ხირხატ ნიადაგებს, სადაც კარგად ვითარდება როგორც მრავალწლიანი თესლოვანი და კურკოვანი ხეხილი, ვენახი, ისე ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მარცვლეული კულტურები, ბოსტნეულ-ბაღიყეული და სხვა.

შიდა ქართლის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. შესაძლებელია გამოვეყნოთ სოფლის მეურნეობის შემდეგი ძირითადი წამყვანი დარგები: მეხილეობა (ვაშლი, ატმი, გარგარი, მსხლი, ქლიავი, ტყემალი) მევენახეობა, მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი, სიმინდი), მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მეცხვარეობა, მეღორეობა).

შიდა ქართლში სასოფლო - სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობი შეადგენს 214,8 ათ. ჰექტარს.

მათ შორის:

- სახნავია – 79,3 ათ. ჰა.
- მრავალწლიანი ნარგავები – 38,3 ათ. ჰა.
- სათიბი – 7,5 ათ. ჰა.
- საძოვარი – 88,4 ათ.ჰა

შიდა ქართლში ძირითადი მაპრობილებელი პროდუქციის სახეებია: ხორბლის ფქვილი, საკონსერვო ნაწარმი, ვაშლის კონცენტრატი, შაქარი, ალკოჰოლური სასმელი, ცემენტი,

რკინიგზის შპალი, თიხის აგური, სპირტი. ასევე სასოფლო სამეურნეო წარმოების პროდუქტები (ხილი და ბოსტნეული).

მხარის მთლიანი პროდუქციის ხვედრითი წონა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 5,9%-ია; მთლიანი რეგიონალური პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე – 2073,5 ლარი. (2006 წლის მონაცემები).

5. საფინანსო სექტორი

2007 წელს ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე გაიცა 42 ნებართვა და საპროექტო ობიექტების საერთო ფართობი იყო – 19514 კვ.მეტრი.

რაც შეეხება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებზე გაცემული ნებართვების ოდენობას, შიდა ქართლის რეგიონში 2007 წელს გაიცა 55 ნებართვა, საპროექტო ობიექტების საერთო ფართობი შეადგენდა 8484,9 კვ.მ.

2008 წლის I – III კვარტალში შიდა ქართლის რეგიონში გაცემული იქნა – 77 ნებართვა და ობიექტის საერთო საპროექტო ფართი იყო – 37448,91 კვ.მეტრი.

6. საწარმოები

2009 წლის მონაცემებით შიდა ქართლში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა იყო 1663, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 4,5 პროცენტია. მათ შორის:

- მსხვილი საწარმოა – 45;
- საშუალო საწარმო – 120;
- მცირე საწარმო – 1498.

რეგიონში მოქმედი მსხვილი საწარმოები:

გორი:

- შპს “პორტე” – ფქვილის წარმოება;
- შპს “იბოლია” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;

- სს “სამშენებლო ტრესტი №3” – შენობების საერთო მშენებლობა;
- შპს “საგზაო სამშენებლო სამმართველო №1” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
- სს “გორი-გაზი” – აირისებრი სათბობის განაწილება მილსადენებით და მისი გაყიდვა;
- შპს “დგარ-2005” – საკედლე ბლოკების წარმოება;
- შპს “სამეგობრო” – ხილისა და ბოსტნეულის წვენების წარმოება და სხვა;

კასპი:

- შპს “ვეროცემენტი” – საბითუმო ვაჭრობა ავტომობილის ბენზინით;
- სს “მეტეხის კერამიკა” – აგურისა და ბლოკების წარმოება გამომწვარი თიხისგან;
- სს “ოკამი” – დისტილირებული ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება;
- შპს “საქცემემენტი” – ცემენტის წარმოება;
- სს “ნატურალპროდუქტი” – ეთილის სპირტის წარმოება;

ქარელი:

- შპს “ქართული შაქარი” – შაქრის წარმოება;

ხაშური:

- შპს “ვევ” – საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ბენზინით;
- სს “გომის სპირტისა და არაყის კომპანია” – ეთილის სპირტის წარმოება გაღვივებული მასალებისგან;
- შპს “გზა-2005” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
- შპს “გზამშენი-5” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
- შპს “მაგისტრალი” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა.

7. საფინანსო სექტორი

საფინანსო საკრედიტო დაწესებულებები: შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოქმედებს ეროვნული ბანკის გორის ფილიალი, 13 კომერციული ბანკის ფილიალი და 3 საკრედიტო დაწესებულება.


ესენია: “საქართველოს ბანკის” – 4 ფილიალი, “თიბისი ბანკის” – 1, “ბანკი რესპუბლიკა” – 3, “პროკრედიტ ბანკი” – 3, “ინვესტ ბანკი” – 3, “ტაო პრივატ ბანკი” – 2, “VTB ბანკი” – 1, “ბანკი ქართუ” – 1, “ბანკი კონსტანტა” – 3 და “სახალხო ბანკის” ფილიალები.

სადაზღვევო და საპენსიო დაწესებულება: რეგიონში მოქმედებს სადაზღვევო და საპენსიო კომპანიები, რომლებიც კერძო და იურიდიულ ფირმებს სთავაზობენ სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებათა პაკეტს.

8. პრივატიზაცია

2008 წელს პრივატიზებული ობიექტების რაოდენობამ რეგიონში 30 ერთეული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 9%-ით ნაკლებია, ხოლო მთლიანად საქართველოში პრივატიზებული ობიექტების 4.7%-ია.

2004 წლიდან დღემდე შიდა ქართლში პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა 164 ობიექტია, რაც მთლიანად საქართველოში 2004 წლიდან პრივატიზებული ობიექტების 6%-ია.



9. სტრატეგიული მიმართულებები

1: ინფრასტრუქტურის განვითარება უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნისთვის და ბიზნესის განვითარებისთვის.

- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოწესრიგება;
- ბუნებრივი აირით მომარაგება;
- სასამელი წყლის მიწოდების სისტემის მოწესრიგება;
- საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება;
- ელექტრომომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

2: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა შემოსავლების ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების მიზნით.

- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ტურისტული მარშრუტებისა და რუკების მომზადება;
- ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების მშენებლობა-რესტავრაცია;
- ისტორიული და კულტურული ძეგლების რესტავრაცია;
- ტურისტული საინფორმაციო და მომსახურების ცენტრების შექმნა.

3: მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის შემოსავლების ზრდის მიზნით.

- საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია;
- ფერმერთა სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის შექმნა;
- გადამამუშავებელი და შემფუთავი მცირე საწარმოების სტიმულირება;
- სასაწყობე მეურნეობის მოწყობა.

VI. ტურიზმი

1. კურორტები და კოტინჯიური საკურორტო ადგილები

გორის მუნიციპალიტეტში ვხვდებით კლიმატურ, ბალნეოლოგიურ და სამკურნალო კურორტებს, ესენია: გორიჯვარი, ფელი, საყავრე, ბიისი და ატენი.

ქარელის მუნიციპალიტეტში არის სულფიდური მინერალური წყლის ტიპის და ნახშირმჟავას მინერალური წყლის ტიპის კურორტები, ესენია: ტბეთი, ბატეთის ტბა, აბანო, ტყემლოვანი (ამ ზონაში მდებარეობს გუგომის, ტყემლოვანის, ქოზიფას სამონასტრო კომპლექსი)

კასპის მუნიციპალიტეტში ვხვდებით ბალნეოლოგიურ კურორტს ართროლოგიური სამედიცინო პროფილით, სულფიდური მინერალური წყლის ტიპით, ეს არის ხოვლე, ასევე გოსტიბე – პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური სამედიცინო პროფილით.

ხაშურის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია კურორტები კლიმატო-ბალნეოლოგიური სულფიდური წყლის ტიპით – დაბა სურამი და ქვიშხეთი.

2. თეატრები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები

მხარეში 2008 წელს ფუნქციონირებდა 2 თეატრი და 16 მუზეუმი, რაც მთლიანად საქართველოში თეატრების და მუზეუმების რაოდენობის 10%-ია. 2008 წელს გაიმართა 55 წარმოდგენა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 54%-ით ნაკლებია, ხოლო მაყურებელთა რაოდენობა 7665 ადამიანი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 261%-ით.

მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხვი 2008 წელს იყო 52 ადამიანი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 18.2 %-ით მეტია.

2008 წელს შიდა ქართლში განხორციელდა 2904 ექსკურსია და ჩატარდა 37 გამოფენა.


2008 წელს შიდა ქართლში ფუნქციონირებდა 119 ბიბლიოთეკა, რაც

მთლიანად საქართველოში არსებული ბიბლიოთეკების 14%-ია.

VII. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები


1. საბაღასახადო, არასაბაღასახადო და კაპიტალური შემოსავლები

2008 წელს რეგიონში საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 7677.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლების 1.6%-ია.





2. ქონების გადასახადი

შიდა ქართლის მხარეში 2008 წელს ქონების გადასახადიდან შემოსულმა თანხამ 3784 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ქონების გადასახადიდან შემოსული თანხის 2.9%-ია.




მათ შორის აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადში ყველაზე მაღალი წილი საწარმოთა მიერ ქონების გადასახადს უკავია 2314.7 ლარი, რაც მთლიანი გადასახადის 61.2%-ია



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტრანსფერების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

3. ადგილობრივი მოსაკრებლები

2008 წელს შიდა ქართლში ადგილობრივი გადასახადებიდან შემოსული თანხა – 918.1 ათასი ლარია, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლის მხოლოდ 1.5 %-ია. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსაკრებლის 70.7 % მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტზე მოდის – 649.1 ათასი ლარი.



	გამოთანაბ	მიზნობრ	სპეციალ	სულ
	ათასი ლარი			
გორი	3935	195	12110,6	16240,6
ქუთაისი	779	72	533,8	1384,8
მცხეთა	502	40	402,1	944,1
ბასში	608	122	669,9	1399,9
ქარელი	1626	118	4432	6176
თიანეთი	658	37	1	696
ხაშური	1841	179	590	2610
სულ	9949	763	18739,4	29451,4

4. ფინანსური დახმარებები

ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსურმა დახმარებებმა ტრანსფერის სახით 29 451,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით გაცემული ტრანსფერების მხოლოდ 5.9 %-ია.